ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №650

გაზეთის „ახალი განათლება" ხელმოწერის შესახებ

თბილისი 4. 01. 2012წ

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ შ.პ.ს „ახალი განათლება" მისი დირექტორის მარიკა ჩიქოვანის სახით (შემგომში „მიმწოდებელი") და მეორე მხრივ, თელავის მუნიციპალიტეტის ფშავლის საჯარო სკოლის დირექტორის ----ეროვნი ხახიძის----------
----------სახით (შემდგომში – „შემსყიდველი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამარტივებული შესყიდვის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის კუთვნილი გამოცემის – გაზეთის „ახალი განათლება" 2012 წლის ხელმოწერის შესყიდვა (შემდგომში – „შესყიდვის ობიექტი").

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 გაზეთ „ახალი განათლების" ერთი ნომრის ღირებულებაა – ერთი ლარი და 30 თეთრი. ხელმოწერის ღირებულება: ერთი წლით 52(ორმოცდათორმეტი) ლარი, 5 თვით – 26(ოცდაექვსი) ლარი.

3.2 საქონლის ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 „მიმწოდებელი" ვალდებულია, დროულად გამოსცეს გაზეთი „ახალი განათლება" და ყოველკვირეულად მიაწოდოს „შემსყიდველს". სააგენტოს საშუალებით, იმ პერიოდში, როდესაც მუშაობს საგანმანათლებლო დაწესებულებები. სულ, წლის განმავლობაში – 40 ნომერი.

4.2 „შემსყიდველი" ვალდებულია, ხელშეკრულების დადებიდან ორი კვირის ვადაში, ჩარიცხოს საბანკო ანგარიშზე ხელმოწერის ღირებულება.

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

6. სადავო საკითხთა გადაჭრის პირობები

6.1. ნებისმიერი სახის დავის მოგვარება ხორციელდება: მოლაპარაკების გზით, ან სასამართლოში, ან კერძო არბიტრაჟის მეშვეობით;

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

8. ფორს-მაჟორი

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი აქვთ.

„მიმწოდებელი"	„შემსყიდველი"
შ.პ.ს „ახალი განათლება"	ხსიპ. ყშევლის საჯარო სკოლა
ქ. თბილისი. ტეტელაშვილის ქ. №3	ს/ბ საქართველოს ბანკი
ს/ს „საქართველოს ბანკი"	ა/ა GE 82BG0000000182229300
ა/ა GE 86 BG 0000000 123631000	BAGAGE ს/კ 231263771
ს/კ 202058735. ბ/კ BAGAGE22	
დირექტორი შ.ხიქოვანი	დირექტორი